



ბრძანება:ბ14.14222785

თარიღი:05/10/2022

მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადებების მიღების მესამე ეტაპის დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადებების მიღების მესამე ეტაპი 2022 წლის 5 ოქტომბრიდან და დასრულდეს 2022 წლის 31 დეკემბერს.

2. მესამე ეტაპი განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“-ს პირველ ეტაპთან დაკავშირებით გამოცემული აქტებით დადგენილი წესით, ამავე აქტებით მესამე ეტაპისათვის დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის ცენტრის მენეჯერებმა ყოველკვირეულად (კვირის ბოლოს) უზრუნველყონ შემოსული განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისი სამუშაო ჯგუფისათვის მიწოდება.

4. წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

